

მეთხეობის პროდუქციის წარმოების პერსპექტივები ქ. რუსთავისა და ქ. მცხეთის შემოგარენში

ქლენტი თ., ლლიღვაშვილი ვ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ანოტაცია: სტატიაში წარმოდგენილია მეთხეობის დარგის ზოგადი მიმოხილვა. განხილულია მსოფლიოში აღიარებული საუკეთესო მერმეული ჯიშები: ზაანენი და ალპური თხები. მათი ზრდა-განვითარების თავისებურებანი, ჯიშების სტანდარტის მონაცემები და საქართველოს პირობებში მათი ადაპტაციის და მოვლა-მოშენების პერსპექტივები. ვსაუბრობთ საქართველოში მეთხეობის დარგის მდგომარეობაზე ბოლო ათწლეულების განმავლობაში და დღევანდელი მდგომარეობით. იმისათვის, რომ დავადგინოთ, რამდენად მიზანშეწონილი და რენტაბელურია ჩვენს ქვეყანაში აღნიშნული ჯიშების მოშენება, შევისწავლეთ ქ. რუსთავისა და ქ. მცხეთის შემოგარენში არსებული ზაანენის და ალპური ჯიშის თხის ფერმებში შემოყვანილი და იქ მოშენებული სულადობის მდგომარეობა, ზრდა-განვითარების თავისებურებანი, კვება, ნაყოფიერება, დაავადებებისადმი მდგრადობა და სხვ. დასასრულს ვაკეთებთ დასკვნას, რომ შემოყვანილმა სულადობამ ნორმალურად გაიარა ადაპტაცია და შესაბამისი პირობების შექმნისას მათი პროდუქტიულობა და ნაყოფიერება სავსებით დამაკმაყოფილებელი იქნება, ხოლო მათგან მიღებული პროდუქტები კი ძალიან საჭირო, დროული და სასარგებლო ჩვენი მოსახლეობისათვის.

საკვანძო სიტყვები: მეთხეობა, განვითარების პერსპექტივები

მსოფლიოში თხამ დიდ აღიარებას და გავრცელებას მიაღწია მისი შეუფასებელი თვისებების გამო. თხის ძირითადი პროდუქტებია: რძე, ხორცი, მატყლი და ტყავი.

ჰიპოკრატეს დროიდან თხის რძე ითვლება საუკეთესო საკვებად ბავშვებისა და ავადმყოფი ადამიანებისათვის. მასში დიდი რაოდენობით შედის ალბუმინი, კაზეინი და მნიშვნელოვანი მინერალური მარილები, ფოსფორი, კობალტი, ვიტამინები- A, B, D. იგი ახლოსაა დედის რძესთან. მასში შემავალ ცილებს, გლუკოზასა და ლაქტოზას (რძის შაქარი), ასევე ცხიმის ბურთულაკებს, რომლებიც გაცილებით უფრო მცირე ზომისაა, ვიდრე ძროხის, ასევე ადვილად ითვისებს ადამიანის ორგანიზმი.

თხის ხორცი კვებითი ღირებულებით აღემატება ძროხის ხორცს და არ ჩამოუვარდება ცხვრისას. დედის რძით გამოზრდილი თივანის ხორცი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დელიკატესადაა მიჩნეული, იგი შეიცავს 20% პროტეინს და მცირე რაოდენობით ცხიმს. თხის ხორცში ქოლესტერინის დაბალი რაოდენობა მას დიეტური ხორცის სტატუსს ანიჭებს. ამის გარდა, ადამიანები, რომლებსაც აქვთ ალერგია ძროხის რძეზე, თხისას ჩვეულებრივად ითვისებენ. კუჭ-ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების დროს კი საუკეთესოა თხის რძის დიეტა.

მსოფლიოში დღეისათვის აღრიცხულია დაახლოებით 460 მილიონი გაუმჯობესებული თხა, რომელიც 4,5 მილიონ ტონა რძეს და 1,2 მილიონ ტონა ხორცს იძლევა. თხის ჯიშებში განსაკუთრებით გამოარჩევენ შვეიცარული ჯიშის თხებს, რომლებიც პირველ ადგილზე არიან

მონაწველით, ესენია: ზაანენის, ალპური, ტოგენბურგული, ობერხაზლის, ნუბიური ჯიშები. მათში კი ყველაზე მაღალპროდუქტიული ზაანენის ჯიშია.

ზაანენის ჯიში გამოყვანილია შვეიცარიის დასავლეთ ნაწილში ბერნის მთებზე (ალპებში 1000 მ-ზე მაღლა). იგი რეგისტრირებულია მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში. მთლიანი პოპულაცია 900000-ს ინდივიდს ითვლის. ისინი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი თხებია მსოფლიოში. მათი საშუალო ცოცხალი მასა 50-60 კგ-ა, მაქსიმალური კი 90 კგ-ს აღწევს. ზაანენური თხა გამოირჩევა მაღალი ნაყოფიერებით. ყოველი ახალი დედალი თხისაგან 180-250 თიკანი მიიღება.

პროფ. ვ. ლილვაშვილის რეკომენდაციის შესაბამისად, ეს ჯიში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანების თანახმად, საქართველოში ადგილობრივი ჯიშების გასაუმჯობესებლად 1998 წლიდან გეგმიურ ჯიშად არის მიჩნეული.

ალპური ჯიშის თხაც ალპური მთის ჯიშია საფრანგეთიდან. მათი ცოცხალი წონა მერყეობს 60-80 კგ-ის ფარგლებში. ალპური ჯიში ხასიათდება მაღალი წველადობით, რაც წელიწადში შეადგენს საშუალოდ 1500 ლიტრს. გამოირჩევა მაღალი შობადობით, დედა თხა პირველივე მაკეობაზე 2-ზე ნაკლებ თიკანს არ შობს, საშუალო მონაგები კი 3-4 თიკანია.

საქართველოსთვის მეთხოვა მეცხოველეობის ერთ-ერთი ტრადიციული დარგია. თხამ ქართველი ადამიანის ცხოვრებაში, საუკუნეების განმავლობაში, განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა. აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის 50-იან წლებში საქართველოში თხის სულადობამ 0.5 მილიონს გადააჭარბა და ამ სულადობის ნახევარზე მეტს მეგრული ჯიშის თხა შეადგენდა. სამწუხაროდ, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში რესპუბლიკაში თხის რაოდენობა 6-7-ჯერ შემცირდა. ამასთან, ხალასჯიშიანი თხის რაოდენობა საზოგადოებრივ სექტორში დღეისათვის თითქმის მთლიანად განადგურდა.

ჩვენს მიერ წარმოებული კვლევით გვინდა დავადგინოთ რენტაბელურია, თუ არა ზაანენის და ალპური ჯიშის თხების საქართველოში მოშენება, რამდენად კარგად გადიან ისინი ადაპტაციას ადგილობრივ პირობებში. ამისათვის შევარჩიეთ ქ. რუსთავის და ქ. მცხეთის შემოგარენში არსებული ზაანენის და ალპური ჯიშის თხების ორი ფერმა, სადაც მოვახდინეთ დედა, ბოტი და მიღებული ნამატი სულადობის შესწავლა, მათი სხეულის 10 ძირითადი განაზომის, ცოცხალი მასის, ნაყოფიერების, მონაწველის მონაცემების აღება და დამუშავება. ზრდა-განვითარების ციკლზე დაკვირვება და ყველა მიღებული მონაცემების შეჯამება-გაანალიზება, შესაბამისი დასკვნის გასაკეთებლად.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე ფერმა დაფინანსებულია სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში (შელავათიანი აგროკრედიტი და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სახელმწიფო ხელშეწყობი პროგრამა).

აღნიშნულ ფერმებში შევისწავლეთ ადგილობრივი პირობების ფონზე დედა, ბოტი მწარმოებელი და მათგან მიღებული ნამატი სულადობა, მათი 10 ძირითადი განაზომით, მათ შორის, ცოცხალი მასით, რამაც მოგვცა საშუალება დაგვიკვირებოდით მათი ზრდა-განვითარების ციკლს, მოგვეხდინა შედარება ნამატი თიკნების მათ დედეებთან, შემოყვანილი სულადობის შედარება ჯიშის სტანდარტულ მონაცემებთან.

აღნიშნული კვლევის მიზანია თხების ინტერიერზე, ზრდა-განვითარებაზე, პროდუქტიულობაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დაკვირვებით გავაკეთოთ დასკვნები, თუ როგორ გადიან ადაპტაციას შემოყვანილი ევროპული მაღალპროდუქტიული ზაანენის და ალპური ჯიშის თხები საქართველოში, როგორ ეგუებიან ადგილობრივ კლიმატს, რელიეფს, საკვებს, რამდენად რეზისტენტულები არიან ადგილობრივი დაავადებების მიმართ, როგორ მიმდინარეობს ნამატი სულადობის ზრდა-განვითარება, შემოყვანილ და სტანდარტულ ინდივიდებთან მიმართებაში.

ცხრილი 1-ში ვახდენთ, მცხეთის ფერმაში, შერჩეული ალპური ჯიშის დედა სულადობის 10 ძირითადი მონაცემიდან ორის: მინდაოში სიმაღლის და ცოცხალი მასის შედარებას შესაბამისი ჯიშების სტანდარტულ მონაცემებთან. მაგალითად, ალპური ჯიშის 6 თხის მინდაოს სიმაღლის განაზომების ბიომეტრიული საშუალო-61სმ-ია, სტანდარტის კი-76.2 სმ. სხეულის

ცოცხალი მასის ბიომეტრიული საშუალო-57.50 კგ, სტანდარტის კი-61.3 კგ. სიმაღლე მინდაოში სტანდარტის მონაცემს ჩამორჩება 20 %-ით, ხოლო ცოცხალი მასის შემთხვევაში კი-7 %-ით.

ცხრილი 1. მცხეთის ფერმის ალპური ჯიშის დედების განაზომების შედარება ალპური ჯიშის სტანდარტის მონაცემებთან

დედის ინდ.N	სიმაღლე მინდაოში (სმ)	ცოცხალი მასა (კგ)	სტანდარტული სიმაღლე მინდაოში (სმ)	სტანდარტული ცოცხალი მასა კგ	შედარება სიმაღლე მინდაოში %-ში	შედარება ცოცხალი მასით %-ში
ქურა	70	65	76.2	61.3	91.8	88
09009	67	58	76.2	61.3	88	106
33083	61	57	76.2	61.3	80	93
09013	49	53	76.2	61.3	64	86
33085	68	63	76.2	61.3	89	103
33026	48	53	76.2	61.3	63	86

ცხრილი 2. რუსთავის ფერმის ზაანენის ჯიშის დედების განაზომების შედარება ზაანენის ჯიშის სტანდარტის მონაცემებთან

დედის ინდ.N	სიმაღლე მინდაოში (სმ)	ცოცხალი მასა (კგ)	სტანდარტული სიმაღლე მინდაოში (სმ)	სტანდარტული ცოცხალი მასა კგ	შედარება ცოცხალი მასით %-ში
09001	66.0	70.0	76	75	93
09006	69.0	75.0	76	75	100
02396	68.0	72.0	76	75	96
0598 LV	69.0	75.0	76	75	100
33034	73.0	81.0	76	75	108
09003	72.5	78.0	76	75	104
33071	65.0	70.0	76	75	93

ცხრილი 2-ში, რუსთავის ფერმაში, ზაანენის დედების მინდაოს სიმაღლის სტანდარტი არის-76 სმ, ფერმის სულადობის მინდაოს სიმაღლის საშუალო ბიომეტრიული მონაცემია-68.93 სმ, ანუ ჩამორჩენა სტანდარტთან არის 9 %-ი. ფერმის სულადობის ცოცხალი მასის ბიომეტრიული საშუალო არის 74.43 კგ, ხოლო სტანდარტი კი-75 კგ. ცოცხალი მასის შემთხვევაში განსხვავება მხოლოდ 1%-ია, რაც ნიშნავს, რომ, ორივე ფერმაში, არსებული სულადობა მინდაოს სიმაღლის და ცოცხალი მასის განაზომის მიხედვით მიახლოებულია ზაანენის ჯიშის დედების სტანდარტულ მონაცემებს.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში მყოფი სულადობა მიუხედავად განსხვავებული პირობებისა: კვების, მოვლა-შენახვის, კლიმატის, ნაწილობრივ გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობისა, ძალიან მცირედით ჩამორჩება წმინდა ჯიშის სტანდარტულ მონაცემებს, რაც მეტყველებს ამ ჯიშების მაღალგენეტიკურ პოტენციალზე და საქართველოს პირობებში არასტანდარტული მოვლა-შენახვის პირობებშიც კი ადვილად ადაპტაციის უნარზე და ჯიშის მახასიათებლების მაქსიმალურად შენარჩუნების უნარზე.

ცხრილი 3, 4-იდან შეგვიძლია ვიმსჯელოთ საქართველოში მიღებული მოზარდების ზრდა-განვითარებაზე დედებთან მიმართებაში. მაგალითად: დედა თხა სახელად „ქურა“ იწონის 65 კგ (4-5 წელი), ხოლო მისი შვილი „ქურა (დ)“ 8 თვის ასაკში არის მისი წონის 30 %, ზაანენის ჯიშის დედის № 09001 მინდაოს სიმაღლე არის 66 სმ, ხოლო მისი 8 თვის მოზარდის მინდაოს სიმაღლე არის 57 სმ, რაც დედის 86 %. ამ მონაცემებით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიღებული ნამატი სულადობის ზრდა-განვითარების პროცესი მიმდინარეობს კარგად.

კვლევის პროცესში ჩვენ შევისწავლეთ ჯერ დედა სულადობის ინტერიერის განაზომები, შემდგომ მათგან მიღებული ნამატის. ყველა მიღებული მონაცემი დავამუშავეთ

ბიომეტრიულად და მიღებულმა შედეგებმა მოგვცა შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალება: საქართველოს პირობებში, თავისუფლადაა შესაძლებელი, დიდი ქალაქების შემოგარენშიც კი, კარგი მოვლა-შენახვის პირობებში, სრულფასოვანი კვების რაციონის, დაავადებებისაგან მაქსიმალურად დაცვის პირობების შექმნისას, ვიყოლიოთ ევროპული მაღალპროდუქტიული ზაანენის და ალპური ჯიშის თხები. მივიღოთ და გამოვზარდოთ მათგან მიღებული ახალი თაობები და მათი მონაცემები, როგორც ინტერიერის, ასევე პროდუქტიულობის მიხედვით იყოს მიახლოებული ზაანენური და ალპური ჯიშის სტანდარტულ მონაცემებთან, რომელზეც ჩვენ შემდგომ კვლევებში გავაკეთებთ უფრო მეტ აქცენტს, ვინაიდან, ამჟამად, აღნიშნულ ფერმებში მიღებული ნამატის ასაკი ჯერ არ გვაძლევს მათი წველის მონაცემების კონტროლის ჩატარების საშუალებას.

ცხრილი 3. მცხეთის ფერმის ალპური ჯიშის 8 თვის მოზარდების განაზომების შედარება მათი დედების განაზომებთან

დედის ინდ.N	სიმალლე მინდაოში (სმ)	ცოცხალი მასა (კგ)	შვილის ინდ. №	სიმალლე მინდაოში (სმ) 8 თვის	ცოცხალი მასა (კგ) 8 თვის	შედარება სიმალლე მინდაოში %	შედარება ცოცხალი მასა %
ქურა	70	65	ქურა (დ)	51.5	22	73	34
09	67	58	33091 (დ)	51	21	76	36
33083	61.00	57.00	33075 (დ)	49	20.70	80	36
09013	54	53.00	33080 (დ)	51	22.80	94	43
33085	68	63.00	33073 (მ)	57	24.50	83	36
33026	58	53.00	33079 (მ)	56	24.00	96.5	41

ცხრილი 4. რუსთავის ფერმის ზაანენის ჯიშის 8 თვის მოზარდების განაზომების შედარება მათი დედების განაზომებთან

დედის ინდ.N	სიმალლე მინდაოში (სმ)	ცოცხალი მასა (კგ)	შვილის ინდ. №	სიმალლე მინდაოში (სმ) 8 თვის	ცოცხალი მასა (კგ) 8 თვის	შედარება სიმალლე მინდაოში %	შედარება ცოცხალი მასა %
09001	66.00	70.00	33095 (მ)	57.00	33.00	86	47
09006	69.00	75.00	33089 (დ)	64.00	30.70	92.7	41
02396	68.00	72.00	33093 (დ)	52.00	29.40	76	43
0598 LV	69.00	75.00	33100 (დ)	49.50	22.00	71.7	29
33034	73.00	81.00	33033 (დ)	47.50	25.50	65	35
09003	72.50	78.00	33090(დ)	48.50	21.80	67	30
33071	65.00	70.00	33027 (დ)	46.00	20.40	71	31

ამ ეტაპზე, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ როგორც შემოყვანილი ზრდასრული სულადობის სხეულის ძირითადი განაზომები და ცოცხალი მასა არის მიახლოებული ჯიშების სტანდარტულ მონაცემებს, ასევე საქართველოში გამოზრდილი თიკნების ზრდა-განვითარების მონაცემები და პროდუქტიული (მერძეული) მაჩვენებელიც, მომავალში, არ ჩამორჩება შემოყვანილი სულადობის მერძეულ პროდუქტიულობას და მაქსიმალურად იქნება მიახლოებული სტანდარტის მონაცემებთან.

ლიტერატურა

1. ლლიღვაშვილი ვ. „საქართველოს მეთხეობა“.
2. ლლიღვაშვილი ვ. „მეთხეობის დარგისა და პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია“.
3. Глигвашвили В. "Козоводство", 2017.
4. Зааненские козы: характеристика, содержание, уход. <https://selo-exp.com/kosy/zaanenskie-kozy.html>
5. Чикалев А.И., Юльдашбаев Ю.А. “Козеводство”.
6. <https://www.roysfarm.com/chamois-colored-goat/>
7. Saanen Goat Breed Information <https://www.roysfarm.com/saanen-goat/>
8. Saanen Goats as Pets. Saanen Goats Owners Manual. Saanen Goats care, housing, interacting and health. Ludwig Lorrick.

PROSPECTS PRODUCTIONS OF PRODUCTS OF THE ZANEN AND ALPEN GOATS IN THE OUTSKIRTS OF RUSTAVI AND MTSKHETA

Zhgenti T., Ghlighvashvili V.

Summary: The article represents a general overview of the goat breeding. It discusses the world's best-known dairy breeds: The Saanen and Alpen goat, Its characterization, standard growth-development conditions, Breed data and adaptation and maintenance of this breed in Georgia. We are talking about the general state of the goat breeding in Georgia over the past years and now days. In order to determine profitability of breeding this species in our country, We are observing the abundance of goat farming of the Saanen and Alpen breed in the outskirts of Rustavi And Mtskheta cities. Its general condition, growth and development, feeding and resistance disease. In conclusion, we note that, under the current conditions, the resulting inputs have undergone adaptation normally and their productivity must be fully satisfactory. Their products are very necessary and useful for the residents of the city.

Key words: Goat breeding, development prospects.